გრასის დეზინფორმაციის ბრიფი - 23 აპრილი - 7 მაისი

- **ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის თქმით, ევროკავშირსა და ნატოს „გლობალური ომის პარტია“ აკონტროლებს;**
- **საქართველოს დასავლელ პარტნიორებს „ქართული ოცნება“ რუსული სტილის კონტრდაბრალებებით უტევს;**
- **„ქართულმა ოცნებამ“ რუსულ კანონად მიჩნეული „უცხოური აგენტების“ კანონპროექტით გამოწვეულ პროტესტს რევოლუციის მცდელობა უწოდა;**
- **„ქართული ოცნების“ მოძრაობა „ხალხის ძალის“ განცხადებით, ევროკავშირს „გლობალური ომის პარტია“ აკონტროლებს და აიძულებს, საქართველოსთან მოლაპარაკებები დაიწყოს;**
- **ძალადობრივი ზეწოლა ადამიანებზე, რომლებიც რუსული „აგენტების კანონს“ აპროტესტებენ;**
- **დეზინფორმაციული კამპანია რუსულ კანონად მიჩნეული „უცხოური აგენტების“ კანონპროექტით გამოწვეული პროტესტის დისკრედიტაციას ახდენს.**

ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის თქმით, ევროკავშირსა და ნატოს „გლობალური ომის პარტია“ აკონტროლებს

აპრილს მმართველი პარტიის ორგანიზებით ჩატარდა საჯარო შეხვედრა მოწოდებით „ერთად ვუთხრათ არა - შავ ფულს და ერთად ვუთხრათ კი - გამჭვირვალობას, ჭეშმარიტ ევროპულ გზას, დამოუკიდებელ და სუვერენულ საქართველოს!“. ჟურნალისტებმა მალევე აღმოაჩინეს, რომ 29 აპრილს შეკრებილთა დიდი ნაწილი დედაქალაქში რეგიონებიდან ჩამოყვანილი და მობილიზებული სახელმწიფო მომსახურეები იყვნენ - ხშირ შემთხვევაში - იძულებითაც კი. ამ ფაქტს ადასტურებდა თბილისში მომრავლებული ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების რაოდენობაც. პარლამენტის წინ ადამიანების მობილიზების პარალელურად, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ ანრი ოხანაშვილმა კომიტეტის სხდომიდან 14 ოპოზიციონერი დეპუტატი და არასამთავრობო სექტორის არაერთი წარმომადგენელი გააძევა. „ქართული ოცნების“ დეპუტატები აქციას მას შემდეგ შეუერთდნენ, რაც რუსულ კანონად მიჩნეულ „უცხოური აგენტების შესახებ“ კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე გატანას მხარი დაუჭირეს.

შეკრებილ ადამიანებს მიმართეს მმართველი პარტიის დამფუძნებელმა და ოლიგარქმა ბიძინა ივანიშვილმა, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ. მათ განცხადებებში ანტიდასავლური ნარატივები ჭარბობდა.

ბიძინა ივანიშვილის განცხადება შემდგომ გზავნილებს შეიცავდა:

> **წლებში საქართველოს ხელისუფლება იყო რევოლუციური კომიტეტი, რომელიც გარედან დაინიშნა და არა ქართველი ხალხის მიერ, შესაბამისად, საქართველოს უცხოური აგენტურა მართავდა.** ივანიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ლიდერად უცხოური დაფინანსების მიმღები არასამთავრობო ორგანიზაციების ხელით მოწყობილი რევოლუციის შემდეგ დაინიშნა. მისი განცხადებით, ზემოაღნიშნულის შედეგად ქვეყანამ თავისუფლება, დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი დაკარგა. **სააკაშვილის ხელისუფლებამ ქართველი ხალხის წინაშე**

დანაშაული არა მხოლოდ სადისტური და არაპატრიოტული ბუნების გამო, არამედ უცხოელი პატრონების მიერ დაკვეთით და კონტროლით ჩაიდინა. სწორედ ამიტომ ჰქონდა მაშინდელ ხელისუფლებას მწვანე შუქი იმავე უცხოელი პოლიტიკოსებისაგან, რომლებიც დღეს სააკაშვილს, გვარამიასა და კეზერაშვილს „უმანკო კრავებად“ აცხადებენ და ამჟამინდელი ხელისუფლების დასჯას ითხოვენ. ამ ადამიანებს დღესაც სურთ ყოფილი ლიდერების არაჰუმანური და სადისტური რეჟიმის დაბრუნება.

- ივანიშვილის განცხადებით, ის ფიქრობდა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დამარცხებით საკუთარი მისია შეასრულა. თუმცა, მისი შეფასებით, **2022 წლის დასაწყისიდან საქართველომ ურთულესი ბრძოლა გადაიტანა ომის თავიდან ასაცილებლდა და მშვიდობის შესანარჩუნებლად.** მიუხედავად 2008 წლის ბუქარესტის სამიტის დაპირებისა, საქართველო და უკრაინა არ გააწევრიანეს ნატოში, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებებს **„გლობალური ომის პარტია“** იღებს, რომელსაც ნატოსა და ევროკავშირზე გადამწყვეტი გავლენა აქვს და საქართველოსა და უკრაინას „საზარბაზნე ხორცად“ ხედავს. **საქართველო 2008 წელს „გლობალურმა ომის პარტიამ“ დააპირისპირა რუსეთს, ხოლო 2014 და 2022 წლებში უკრაინა უარეს მდგომარეობაში ჩააყენეს.** მისი თქმით გლობალური ომის პარტიის აგრესიის მთავარი მიზეზი ისაა, რომ დიდი ძალისხმევის მიუხედავად, საქართველო „მეორე ფრონტად“ ვერ აქცია, რასაც ხელისუფლებაში აგენტურის დაბრუნების პირობებში მარტივად შეძლებდა.
- ივანიშვილის თქმით, საზოგადოებას აინტერესებს, თუ რატომ ეწინააღმდეგებიან უცხოური ძალები „ენჯეოების გამჭვირვალობის“ კანონს. „ჩვენი გუნდის წარმომადგენლები ამ შეკითხვას სწორი მიმართულებით პასუხობენ, თუმცა სრული სიმართლის თქმას ისინი მაინც ერიდებიან“, - აღნიშნა ივანიშვილმა და განმარტა, რომ **„ენჯეოების“ გაუმჭვირვალე დაფინანსება მთავარი ინსტრუმენტია, რომლითაც საქართველოს ხელისუფლების გარედან დანიშვნაა შესაძლებელი.** მათ [უცხოურ ძალებს] სურთ, რომ საქართველო არა ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების, არამედ „გარედან დანიშნული მოღალატეების“ ხელით უნდა იმართებოდეს. **სამოქალაქო სექტორის დაფინანსება, რომელსაც ხშირად დახმარებას უწოდებენ, მთლიანად უცხოური აგენტურის გამაგრებასა და ხელისუფლებაში მათ მოყვანას ხმარდება.** აქედან გამომდინარე, სამოქალაქო სექტორის დაფინანსების მიზანი საქართველოსთვის სუვერენიტეტის წართმევაა.
- **„დღევანდელი საქართველო არ არის არც შევარდნაძის დროინდელი საქართველო და არც იანუკოვიჩის უკრაინა“.** საქართველოს პროფესიონალთა ძლიერი გუნდი მართავს, რომელმაც სამშობლოს, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ფასი იცის. აქედან გამომდინარე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ენჯეოების“ ხელით ხელისუფლების შეცვლა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული მაინც არ ნიშნავს, რომ მმართველმა პარტიამ სიფხიზლე უნდა დაკარგოს და საქართველოს სუვერენიტეტის დაცვა შეწყვიტოს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“.
- ივანიშვილმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მმართველმა პარტიამ რუსულ კანონად მიჩნეული „უცხოური აგენტების“ კანონპროექტი და საკონსტიტუციო ცვლილებები „ლგბტ პროპაგანდის“ წინააღმდეგ არჩევნებამდე სწორედ იმიტომ წარადგინა, რომ **უცხოური ძალები საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევასა და ხელისუფლებისთვის ძირის გამოთხრის მცდელობებს მაინც არ შეწყვეტდნენ. აქედან გამომდინარე,**

ხელისუფლებამ შესაბამისი ზომები მიიღო. ივანიშვილმა შეკრებილ საზოგადოებას შეახსენა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და მართლმსაჯულებისთვის ძირის გამოთხრა სწორედ მათ [უცხოურმა ძალებმა] სცადეს გარკვეული კანონებისა და „ვეტინგის“ დანერგვის მოწოდებებით. **იგივე ძალები, რომლებიც ორი და ოთხი წლის წინ რევოლუციებს აწყობდნენ, ქვეყანას კვლავ შეუტევენ და ხელისუფლებაში აგენტურის დაბრუნებას შეეცდებიან.** კანონპროექტის რეინიციირების გამო ზემოაღნიშნული ძალები ქუჩებში „ანიავებენ“ იმ ენერგიას, რომელიც შემოდგომისთვის უნდა დაეგროვებინათ.

- ივანიშვილის განცხადებით, ქართველი ხალხი „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებისთვის მკაცრი პოლიტიკური და სამართლებრივი განაჩენის გამოტანას მოითხოვს [მმართველი პარტია ოპონენტებს, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებას, „კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას“ უწოდებს]. მისი თქმით, „ქართულ ოცნებას“ არ ჰქონდა საკმარისი რესურსი, შესაბამისად დაესაჯა ოპონენტები, რადგან ამ უკანასკნელთ დასავლეთის ოფიციალური მაღალჩინოსანი წარმომადგენლები იცავდნენ. **არჩევნების შემდეგ „ქართულ ოცნებას“ ექნება საშუალება, „კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას“ მკაცრი პოლიტიკური და სამართლებრივი განაჩენი გამოუტანოს, რომელსაც ის სისხლიანი მმართველობისთვის იმსახურებს.**
- ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციაზე საპასუხოდ, რომელშიც ბიძინა ივანიშვილის დასანქცირების საკითხია განხილული, ოლიგარქმა განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული **ევროკავშირზე „გლობალური ომის პარტიის“ გავლენის დასტურია.** „გლობალური ომის პარტია“ ევროკავშირსაც ისე ანგრევინებს ღირებულებებს, როგორც მოახდინა.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის განცხადების მთავარი გზავნილები:

- კობახიძემ განაცხადა, რომ კონკრეტული გავლენიანი ძალები ევროკავშირს არასუვერენულ, სუსტ სახელმწიფოებად აღიქვამენ, რომლებიც ყოველგვარი იდენტობისგან და ღირებულებებისგან დაცლილნი არიან. **„ჩვენ გვეუბნებიან, რომ ევროპულ ოჯახში მხოლოდ იმ შემთხვევაში მიგვიღებენ, თუ სახელმწიფო სუვერენიტეტსა და ტრადიციულ ღირებულებებს კართან დავტოვებთ;** თუ დავთმობთ მორალს, ეკლესიადა და სარწმუნოებას; თუ დავთმობთ დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობას; თუ დავთმობთ დემოკრატიულ არჩევნებსა და სასამართლოს დამოუკიდებლობას; თუ დავთმობთ ყველა იმ ღირებულებას, რომელსაც ევროპა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაეფუძნა“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.
- პრემიერ-მინისტრის თქმით, **ავღანეთისა და უკრაინის მაგალითები საბუთია, რომ არ არსებობენ არც მუდმივი მეგობრები და არც - მუდმივი მტრები,** არსებობს მხოლოდ მუდმივი პოლიტიკური ინტერესები. კობახიძის შეფასებით, სახელმწიფოს ერთადერთი მუდმივი მეგობარი მისი სუვერენიტეტია და მმართველი პარტიაც სწორედ ამიტომ არიდებს თავს ყველა მოთხოვნას, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის დათმობას გულისხმობს. **„2020 წლიდან რადიკალურმა ოპოზიციამ და მასთან დაკავშირებულმა „ენჯეოებმა“ უკვე ორჯერ სცადეს რევოლუციის მოწყობა; ისინი უკვე 20 წელია არ ასვენებენ ჩვენს ქვეყანას. ახლა კი, ოღონდ საკუთარი შავი ფულით დამალონ, ქვეყნის არევის მესამე ცდასაც არ ერიდებიან“,** - განაცხადა მან.

- კობახიძე განაგრძობდა მტკიცებას, რომ ბიძინა ივანიშვილი თავდადების, ჰუმანურობის, პრაგმატულობისა და მოთმინების მაგალითია. **„საქართველოს ერთგულება და ეროვნული საქმე არის ის, რასაც ბიძინა ივანიშვილს ვერ პატიობენ ამ ქვეყნის დამონებისა და დაჩაგვრის მოსურნე ადამიანები“.** „მადლობა ბიძინა ივანიშვილს იმისათვის, რომ საქართველოს დღეს აქვს მშვიდობა და ეკონომიკური წინსვლა“, - აღნიშნა კობახიძემ.
- განცხადების თანახმად, უკვე რამდენიმე თვეა საქართველოს ხელისუფლებას ემუქრებიან [ევროკავშირი], რომ თუ ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სასამართლოს დამოუკიდებლობას არ დათმობს, გაწევრიანებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს არ გახსნიან. „ჩვენ მოვუწოდებთ ევროკავშირს, 2022 წლის ივნისისგან განსხვავებით, გამოხატოს სათანადო პატივისცემა ქართული საზოგადოების მიმართ, აღადგინოს სამართლიანობა და გახსნას მოლაპარაკებები წელსვე“, - განაცხადა კობახიძემ და განმარტა, რომ ყურადღება ქართველ ხალხს უნდა მიექცეს და არა „ქვეყნის არევის მოსურვე ენჯეოების“ შავი ფულის დამალვას.

თბილისის მერის, კახა კალაძის განცხადების მთავარი გზავნილები:

- კალაძემ აღნიშნა, რომ **გარკვეული ძალები, რომლებიც ვერ ეგუებიან საქართველოს დაუმორჩილებლობას, გაეზიარებინა უკრაინის ბედი [ჩართულიყო რუსეთის წინააღმდეგ ომში], კვლავ ცდილობენ ქვეყნის არევასა** და ხელისუფლებაში იმ ადამიანების დაბრუნებას, რომელთა მმართველობამაც საქართველოს ბევრი პრობლემა მოუტანა.
- დედაქალაქის მერმა განაცხადა, რომ რუსულ კანონად მიჩნეული „აგენტების კანონპროექტის“ მოწინააღმდეგეთა მიზანია, დაამტკიცონ, რომ გამჭვირვალობა ცუდია, ხოლო „ლგბტ პროპაგანდა“ - კარგი. „გვიმტკიცებენ, რომ „ენჯეოებს“ უფლება აქვთ საქქართველოში, რამდენიც უნდათ, იმდენი რევოლუციის მოწყობა სცადონ და ჩვენ მათი ფულის წარმომავლობაც არ უნდა მოვიკითხოთ“, - ამტკიცებდა კალაძე. მისი შეფასებით, კანონპროექტთა მოწინააღმდეგეებს სურთ, ქართველმა ხალხმა არ იცოდეს, თუ **ვინ აფინანსებს ფსევდოლიბერალურ პროპაგანდას, მართლმადიდებელ ეკლესიაზე შეტევას, ნარკოტიკების პროპაგანდასა და რადიკალიზმს საქართველოში.**
- კალაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამჭვირვალობასა და „ლგბტ პროპაგანდასთან“ დაკავშირებით კანონების მიღება საქართველოს სუვერენიტეტისა და ეროვნული იდენტობის დაცვის დიდი ბრძოლის ნაწილია.
- საქართველოს ამჟამად მართავს ერთიანი გუნდი, რომელსაც საკუთარი პასუხისმგებლობა გააზრებული აქვს. ხელისუფლება არა გარე მოთხოვნების, არამედ ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისად მოქმედებს. კალაძე ირწმუნებოდა, რომ **უსამშობლო რადიკალებსა და მათ უცხოელ პარტნიორებს ბიძინა ივანიშვილზე თავდასხმა უმთავრეს ამოცანად აქვთ ქცეული,** რადგან „საქართველოს არ ჰყავს ქვეყნის ეროვნული ინტერესების იმაზე დიდი დამცველი, ვიდრე ბიძინა ივანიშვილია“. მმართველი პარტიის გენერალური მდივანი ამბობდა, რომ ასეთი ეროვნული ამოცანით შემოვიდა ივანიშვილი 2011 პოლიტიკაში, როცა საქართველოს აგენტოკრატიის შესაცვლელად სიცოცხლე რისკის ქვეშ დააყენა.
- განცხადების დასკვნითი ნაწილის თანახმად, დასავლური ლიდერები ივანიშვილს ეწინააღმდეგებიან, ხოლო სააკაშვილს მხარს უჭერენ, ვინაიდან ეს უკანასკნელი

მარტივად იმართებოდა და გამოიყენებოდა საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ, როდესაც ივანიშვილი ეროვნული ინტერესების დაცვის გარანტს იძლევა.

პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის განცხადების მთავარი გზავნილები:

- პაპუაშვილი ირწმუნებოდა, რომ საქართველოს თანასწორ სახელმწიფოდ მხოლოდ მაშინ სცემენ პატივს, როდესაც მტკიცედ დადგება ღირებულებებისა და ინტერესების სადარაჯოზე. პოლიტიკური დღის წესრიგის ორი უმთავრესი საკითხი [კანონპროექტი „უცხოური აგენტების შესახებ“ და საკონსტიტუციო ცვლილებები „ლგბტ პროპაგანდასთან“ დაკავშირებით] პირდაპირ უკავშირდება ქართველი ხალხის ცხოვრების წესსა და მასზე უცხოურ გავლენას. „ორივე შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ, რომ გვიპირისპირდებიან ის ადამიანები, რომლებსაც არ გააჩნიათ სიამაყე ჩვენი თვითმყოფადობის გამო, არ გააჩნიათ ეროვნულობის განცდა და კუთვნილება ქართულ საწყისებთან. ისინი საქართველოზე უფრო მაღლა აყენებენ უცხოეთს“, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.
- ზოგიერთ ძალას აქვს სურვილი, საქართველო სხვა ძალების ინტერესების გატარების ინსტრუმენტად, სხვების სურვილების შემსრულებელ სატელიტ ქვეყანად იქცეს, თუმცა მმართველი პარტია მტკიცედ იცავს ეროვნულ ინტერესებს. პაპუაშვილის განცხადებით, „ქართული ოცნება“ დამოუკიდებლობას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და ეროვნულ თვითმყოფადობას პრინციპულ საკითხებად აყენებს ნებისმიერ ურთიერთობაში - მტერთან თუ მოყვარესთან. „ყველამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს გაწევრიანება ნებისმიერ გაერთიანებაში უნდა ემსახურებოდეს უპირველეს ყოვლისა საქართველოს ინტერესებს და არა პირიქით“, - განაცხადა პაპუაშვილმა.

საქართველოს დასავლელ პარტნიორებს „ქართული ოცნება“ რუსული სტილის კონტრდაბრალებებით უტევს

- აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველთან, დერეკ შოლესთან სატელეფონო საუბრის შემდგომ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ გამოაქვეყნა პოსტი, რომელშიც **„გამოხატა გულწრფელი იმედგაცრუება აშშ-ს ყოფილი ელჩის მხარდაჭერითა და უცხოური წყაროებით დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ 2020-2023 წლებში ორგანიზებული რევოლუციური მცდელობების შესახებ.“** „ზემოაღნიშნული მცდელობები რომ წარმატებით დასრულებულიყო, საქართველოში მეორე ფრონტი გაიხსნებოდა“, - აღნიშნულია კობახიძის პოსტში X-ზე. სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩევლის მიერ თბილისის აქციების ძალადობრივ დარბევასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ მოსაზრებებზე საპასუხოდ კობახიძემ განაცხადა, რომ **თავად არ გამოუხატავს შეშფოთება შოლესთან, როდესაც „ნიუ-იორკში სტუდენტების საპროტესტო გამოსვლები ძალადობრივად დაშალეს.“**
- კობახიძემ სოციალურ მედიაში პოსტი ევროპული საბჭოს პრეზიდენტთან, შარლ მიშელთან საუბრის შემდეგაც გამოაქვეყნა. პრემიერ-მინისტრის თქმით, **მან ხაზი გაუსვა უცხოური წყაროებით დაფინანსებული ორგანიზაციების ჩართულობას 2020 და 2023 წლებში საქართველოში მოწყობილ ორ რევოლუციურ მცდელობაში.** მან გამოხატა იმედგაცრუებაც, რომ არაერთი მოწვევის მიუხედავად, პარტნიორები არ გამოხატავენ

სურვილს, ჩაერთონ დისკუსიებში გამჭვირვალობის კანონპროექტის შესახებ და **მმართველ პარტიას წარუდგინონ კონტრარგუმენტები დაინიციირებულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით.**

- საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რობინ დანიგანმა ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომლის თანახმადაც აშშ-მ საქართველოს მთავრობის მაღალი თანამდებობის პირები შეერთებული შტატების მაღალი თანამდებობის პირებთან სტრატეგიული პარტნიორობისა და დახმარების შესახებ ნებისმიერი შეკითხვის განსახილველად მიიწვია. **„სამწუხაროდ, ქართულმა მხარემ აირჩია, რომ უარი ეთქვა ამ მოწვევაზე“,** - ვკითხულობთ განცხადებაში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საპასუხოდ გამოქვეყნებული განცხადების მიხედვით, მოწვევა მოხდა „დათქმით, რომ ვიზიტამდე საქართველოს პარლამენტს დროებით უნდა შეეჩერებინა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა“, რაც **„არ შეესაბამება პარტნიორობის სულისკვეთებას“** ორ ქვეყანას შორის.
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გააკრიტიკა ფრანგი კოლეგებიც მას შემდეგ, რაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ძალადობა დაგმო და საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, განემტკიცებინა მშვიდობიანი დემონსტრაციების უფლება და პრესის თავისუფლება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საპასუხო განმარტების თანახმად, „მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ ოპოზიციასთან დაკავშირებული და საზღვარგარეთიდან დაინანსებული ძალადობრივი ჯგუფები ახორციელებდნენ მასშტაბურ ძალადობას სახელმწიფო ინსტიტუტების შენობებისა და სამართალდამცავი სტრქტურების წინააღმდეგ, ქართველი სამართალდამცავები, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე სამწუხარო ინციდენტს, ადამიანის უფლებების უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად მოქმედებდნენ“. **ქართულმა მხარემ საფრანგეთს შეახსენა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ თავი შეიკავა საფრანგეთის მიმართ კრიტიკული განცხადებისგან, როდესაც პარიზში სამართალდამცავები მომიტინგეებს ბრუტალური, ადამიანის უფლებების საყოველთაო სტანდარტებთან სრულიად შეუსაბამო მეთოდებით დაუპირისპირდნენ.**
- აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაზე საპასუხოდ, რომლის თანახმადაც ამერიკული მხარე „გმობს კრემლით შთაგონებული „უცხოური გავლენის“ კანონპროექტს“, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ნებისმიერი უცხოელი, რომელიც იტყუება და არგუმენტების გარეშე ამბობს, რომ კანონი რუსულია, **იზიარებს პასუხისმგებლობას იმ ძალადობაზე, რომელსაც კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ ახორციელებს“.** „გამჭვირვალობა არავის აწყობს, არავის უნდა, რომ მათი ფინანსები გამჭვირვალე იყოს“, - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.
- ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებები არ დაიწყება, სანამ ზემოაღნიშნული კანონი საქართველოს სამართლებრივი წესრიგის ნაწილი იქნება. რეზოლუციაზე საუბრისას კობახიძემ აღნიშნა, რომ ევროპარლამენტს მსგავსი რეზოლუციები ადრეც მიუღია, რომლებშიც საქართველოს ხელისუფლებას სააკაშვილის გათავისუფლებას მოუწოდებდნენ. მიუხედავად ხელისუფლების დაუმორჩილებლობისა, საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მაინც მიიღო. აქედან გამომდინარე, პრემიერ-მინისტრის შეფასებით, **ბოლო რეზოლუციაც „ფარატინა ფურცლად“ დარჩება და ევროკავშირი საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წლის ბოლომდე გახსნის.**

- ევროპარლამენტის რეზოლუციაზე თბილისის მერმა კახა კალაძემაც ისაუბრა, რომლის განცხადებითაც, „ქართულმა ოცნებამ“ საქართველო გარე ძალებისგან მართული მარიონეტებისგან გაათავისუფლა და ევროპელ კოლეგებსაც დაეხმარება, თავი დააღწიონ „აგენტურის მმართველობას“. **კალაძის შეფასებით, რეზოლუცია თავს ესხმის ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც ქვეყანა „კრიმინალი აგენტურისგან“ გაათავისუფლა, ხოლო აქებს მიხეილ სააკაშვილს, რომელიც ბიზნესის რეკეტით, წამებით, ადამიანის უფლებების შეზღუდვითა და სხვა მრავალი დანაშაულითაა ცნობილი.**
- ამერიკის შეერთებული შტატების 14 ორპარტიული სენატორის მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი გავრცელებულ მიმართვაში საუბარია „ღრმა შეშფოთებაზე, რაც რუსული სტილის „უცხოური აგენტების“ კანონის ხელმეორედ ინიციირებამ გამოიწვია... თუ ქვეყანაში კანონპროექტი ამოქმედდება, სენატორები წაახალისებენ საქართველოს მიმართ აშშ-ს პოლიტიკის შეცვლას“. პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ საკვირველია, როდესაც მსგავსი კანონის [FARA] მქონე ქვეყანა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, არ მიიღოს მათი ვარიანტი. პაპუაშვილის მტკიცებით, სენატისთვის უფრო მარტივი იქნებოდა, ამერიკის ბიუჯეტიდან საქართველოსთვის გამოყოფილი ფინანსები გაასაჯაროონ. „ჩვენ ვიცით, რომ ამერიკის დემოკრატიის ნაციონალური ფონდი არ ასაჯაროებს, თუ რა პროექტებს აფინანსებს საქართველოში... **აშშ-ის ბიუჯეტიდან ფული, ამერიკელი მოქალაქეების ფული იხარჯება შემოვლითი გზებით პარტიების დაფინანსებაში, რადიკალური ჯგუფების დაფინანსებაში, დეზინფორმაციული ჯგუფების დაფინანსებაში“,** - განაცხადა პაპუაშვილმა.
- „ქართული ოცნების“ დეპუტატის, ირაკლი ზარქუას თქმით, მმართველი პარტია რუსული სტილის „უცხოური აგენტების“ კანონპროექტზე უარს იტყვის იმ შემთხვევაში, თუ აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ისრაელი ასევე გააუქმებენ „ანალოგიურ კანონს“. ის ამტკიცებდა, რომ საქართველო არასტაბილური რეგიონია და ადამიანი, რომელიც ქართულ სახელმწიფოს სცემს პატივს, გამჭვირვალობის წინააღმდეგი ვერ იქნება. **„როგორც კი დაფინანსება ღია და გამჭვირვალე გახდება, ლომჯარიები და გიგაურები გაქრებიან** - რატომ? იმიტომ, რომ ჩაენაცვლებიან ღირსეულები, პატიოსნები, ვინც ქართულ საქმეს აკეთებენ, ხოლო მას, ვინც შავ საქმეს აკეთებს, ბუნებრივია, დონორი აღარ დააფინანსებს! ამიტომაც სამსახურის დაკარგვის ეშინიათ!“ - განაცხადა ზარქუამ.

„ქართულმა ოცნებამ“ რუსულ კანონად მიჩნეული „უცხოური აგენტების“ კანონპროექტით გამოწვეულ პროტესტს რევოლუციის მცდელობა უწოდა

აპრილსა და 1 მაისს, მმართველი პარტიის მიერ გამართული „საყოველთაო-სახალხო შეკრების“ შემდეგ, პოლიციამ პარლამენტის გარეთ შეკრებილი დემონსტრანტების ძალადობრივი დარბევა დაიწყო. მმართველმა პარტიამ მალევე გააჟღერა შეთქმულების თეორიები, თითქოს პარტიის შიდა და გარე მოწინააღმდეგეები რევოლუციასა და ხელისუფლების თავიდან მოშორებას გეგმავენ.

- პრემიერ-მინისტრის მტკიცებით, „რადიკალური ოპოზიცია“ წლებია ცდილობს სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივებას, შესაბამისად, ბოლოდროინდელი დემონსტრაციებიც სწორედ ამის მაგალითია. კობახიძე ამბობდა, რომ „კოლექტიური

ნაცმოძრაობა“ ქვეყნის დესტაბილიზაციას არჩევნების შემდეგ აპირებდა, თუმცა დღეს უწევს ძალადობრივი რესურსის განიავება. ამასთან, ის ირწმუნებოდა, რომ 15 ახალგაზრდული დაჯგუფება სპეციალურად დატრენინგდა ძალადობისთვის. „ახალგაზრდების ნაწილი პირდაპირ დიმა ჩიქოვანის მიერ არიან დაფინანსებული. “ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი - ე.წ. გულწრფელი ახალგაზრდაა იგორ ნარმანია, რომელიც დიმა ჩიქოვანის ხელდასმული ახალგაზრდაა. ის არის “ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთის ლიდერი. მას გულწრფელ ახალგაზრდას უწოდებენ“, - განაცხადა კობახიძემ.

- კახა კალაძის მტკიცებით, ოპოზიცია მუდმივად მოუწოდებს მოსახლეობას სახელმწიფო ინსტიტუტების ბლოკირებისკენ, თუმცა ახალგაზრდებს მარტო ტოვებენ საკანონმდებლო ორგანოს პირისპირ. თბილისის მერის შეფასებით, „უცხოური აგენტების შესახებ“ კანონპროექტის წინააღმდეგ ორგანიზებული აქციები ძალადობრივია და ხაზგასმით აღნიშნა, რომ არავის უნდა ეპატიოს კანონს მიღმა გადადგმული ნაბიჯი. ის აგრეთვე ირწმუნებოდა, რომ დემონსტრანტებმა გამოიყენეს ნივთებიც, რომლებიც საქართველოში არ იყიდება, რითაც მიუთითებდა, რომ პროტესტის ორგანიზატორები გარკვეული გარე ძალები იყვნენ.
- შალვა პაპუაშვილმა განმარტა, რომ **ოპოზიცია გარედან მიღებული დირექტივებით იმართება; აქედან გამომდინარე, მათი გეგმები მხოლოდ ძველი ძალაუფლების დაბრუნებაა რადიკალიზმითა და დესტრუქციით.**
- „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ირაკლი ქადაგიშვილმა განაცხადა, რომ დემონსტრაციები, აკერმანის დღის წესრიგის შესაბამისად, პოლიტიკურ დესტაბილიზაციას ფატალურ შედეგებამდე მისვლით ცდილობს. თუმცა სამართალდამცავმა ორგანოებმა უკვე იციან აღნიშნული გეგმების შესახებ და უზრუნველყოფენ, რომ პროტესტი მშვიდობიანად, კანონთან შესაბამისობაში დასრულდეს.
- საპარლამენტო უმრავლესობისა და მოძრაობა „ხალხის ძალის“ წარმომადგენლის, სოზარ სუბარის მტკიცებით, მან, როგორც ყოფილმა ჟურნალისტმა და არასამთავრობო ორგანიზაციის წევრმა, იცის, რომ 2003 წელს USAID-ის დაფინანსება რევოლუციურ სცენარს მოხმარდა, რითაც მიუთითებდა, რომ აშშ მსგავს საქმიანობას ახლაც ახორციელებს.
- მოძრაობა „ხალხის ძალის“ მორიგი წევრის, მიხეილ ყაველაშვილის შეფასებით ზოგიერთი ახალგაზრდა გულწრფელადაა განწყობილი, თუმცა არსებობენ ძალადობაში დატრენინგებული ახალგაზრდული ჯგუფებიც. „ეს არის პროექტი საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს დღეს არ დაწყებულა ამ კანონთან მიმართებაში, არამედ წლებია გრძელდება“, - ირწმუნებოდა დეპუტატი და ხაზს უსვამდა, რომ ამ დაჯგუფებების უკან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები დგანან. ის აგრეთვე ირწმუნებოდა, რომ პროექტი საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ უცხოურმა ძალებმა დაგეგმეს. „მივმართავ ახალგაზრდებს, რომ ისინი მოტყუებული არიან, ისინი ემსახურებიან გარე ძალების დაკვეთებს, რაც მიმართულია საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ“, - განაცხადა ყაველაშვილმა.

მოძრაობა „ხალხის ძალის“ განცხადებით, ევროკავშირს „გლობალური ომის პარტია“ აკონტროლებს და აიძულებს, საქართველოსთან მოლაპარაკებები დაიწყოს

აპრილს „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებული მოძრაობა „ხალხის ძალის“ მიერ გამოქვეყნებული განცხადების მთავარი გზავნილები შესამჩნევად აისახებოდა ბიძინა ივანიშვილის განცხადებაზე 29 აპრილს.

- ევროპა, როგორც პოლიტიკური სივრცე, საქართველოსთვის „ძვირფასი და სანიმუშო“ მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის წინ, კონკრეტულად კი 1949-2008 წლებში იყო, როდესაც ინარჩუნებდნენ როგორც სუვერენიტეტსა და ქრისტიანობას, ისე - პოლიტკურ, კულტურულ, ეთნიკურ, რელიგიურ და სექსუალურ იდენტობას. ამ პერიოდში იქცა დემოკრატია, სამართლის უზენაესობა, ადამიანის უფლებები, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა ევროპული მმართველობის მთავარ პრინციპებად. თუმცა 2008 წელს ევროკავშირი სერიოზული გამოწვევების წინაშე დადგა, ვინაიდან „გლობალურმა ომის პარტიამ“ ევროპაში სამი ომი წამოიწყო და აგენტოკრატია ჩამოაყალიბა. სწორედ აგენტოკრატიისა და მედიის ტოტალური კონტროლის პირობებში „გლობალური ომის პარტია“ ევროპელებს კულტურულ, ეთნიკურ, რელიგიურ და სექსუალურ იდენტობას ართმევს. ამასთანავე, ტოტალური მიგრაცია, რომელიც გარედან იმართება, ევროპას კულტურული, ეთნიკური და რელიგიური იდენტობის ეგზისტენციურ პრობლემას უქმნის.
- „ხალხის ძალა“ ირწმუნება, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობასთან ერთად, თავადაც სურს გახდეს ისეთი ევროპული ოჯახის წევრი, როგორიც ის 1949-2008 წლებში იყო. „ჩვენ გვინდა არა მიშელის, მაკრონისა და შოლცის, არამედ რობერტ შუმანის, კონრად ადენაუერის, შარლ დე გოლის, ფრანსუა მიტერანისა და ჰელმუტ კოლის ევროპა“, - აღნიშნულია განცხადებაში.
- მიუხედავად ურთულესი გამოწვევებია, საქართველო კვლავ ინარჩუნებს სუვერენიტეტსა და კულტურულ, რელიგიურ და სექსუალურ იდენტობას. აქედან გამომდინარე, მოძრაობას მიაჩნია, რომ საქართველოს გამოცდილება ევროპას სასიცოცხლოდ სჭირდება, რათა „გლობალური ომის პარტიის“ აგენტოკრატიას თავი დააღწიონ.
- მათ [დასავლეთს] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომიტეტისა და სასამართლოს დესტაბილიზაცია სურთ; ასევე, ისინი აფინანსებენ ლგბტ პროპაგანდასა და თავდასხმებს მართლმადიდებელ ეკლესიაზე. ფინანსები, რომლებსაც დახმარებად წარმოაჩენენ, ძირითადად აგენტურის დაფინანსებას ხმარდება. ისინი ღიად უჭერენ მხარს ადამიანებს, „რომლებმაც 2004-2012 წლებში დემოკრატია და ადამიანის უფლებები ფეხქვეშ გათელეს“.
- ისინი [დასავლეთი] საქართველოს ხელისუფლებისთვის ძირის გამოთხრას ცდილობენ, კონკრეტულად 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ხმების პარალელური დათვლის შედეგების გაყალბებითა და მმართველი პარტიისთვის იძულებით, ხელი მოეწერა 2021 წლის არაკონსტიტუციურ შეთანხმებაზე [იგულისხმება 19 აპრილის შეთანხმება, რომელსაც მმართველმა პარტიამ და ოპოზიციამ მოაწერეს ხელი შარლ მიშელის შუამდგომლობით]. ზემოაღნიშნულის მიზანი არჩევნებამდე „ქართული ოცნების“ დასუსტება იყო.
- ევროკავშირმა საქართველოს 2022 წელს უმიზეზოდ უთხრა უარი კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე, ხოლო ხელისუფლებას საკაშვილის გათავისუფლებისკენ მოუწოდებდა, რისი მიზანიც რევოლუციის წამოწყება იყო. თუმცა კანონპროექტით „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ გამოწვეული რიტორიკა „უტიფარი და უკიდურესად არაევროპულია“ და მის შიდა თუ გარე მოწინააღმდეგეებს არ შეუძლიათ შესაბამისი არგუმენტების მოყვანა.

- განცხადების თანახმად, როგორც 2022 წელს დაპირდა მოძრაობა „ხალხის ძალა“, რომ ქვეყანა კანდიდატის სტატუსს მიიღებდა, მსგავსად აიძულებს ევროკავშირს გახსნას მოლაპარაკებებიც წევრობასთან დაკავშირებით.

ძალადობრივი ზეწოლა ადამიანებზე, რომლებიც რუსულ „აგენტების კანონს“ აპროტესტებენ

გასული კვირის განმავლობაში დემონსტრაციების ძალადობრივი დარბევის პარალელურად, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, აქტივისტები და ოპოზიციონერი დეპუტატები ფიზიკური თავდასხმებისა და შევიწროების მსხვერპლნიც გახდნენ.

აპრილს ოპოზიციური პარტია „მოქალაქეების“ ლიდერი ალექსანდრე ელისაშვილი მთავრობის ადმინისტრაციის წინ დააკავეს. „ტელეკომპანია პირველის“ მიერ გავრცელებულ ვიდეოში ნაჩვენებია, თუ როგორ გაუსწორდა პოლიცია ელისაშვილს ფიზიკურად დაკავების შემდეგ. ელისაშვილის თქმით, მას გატეხილი ნეკნი და გახლეჩილი ტუჩი აქვს.

აპრილს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილს სასტიკად სცემეს, როდესაც პოლიციამ დემონსტრაციის ძალადობრივი დარბევა დაიწყო. დეპუტატის განცხადებით, ის ცდილობდა ახალგაზრდა გამომსვლელის დახმარებას, როდესაც დააკავეს და 10-15 წუთის განმავლობაში სცემდნენ. გატეხილი ცხვირისა და სხვა დაზიანებების გამო მას ქირურგიული ჩარევა დასჭირდა.

- თბილისში მცხოვრები ამერიკელი იურისტი ტედ ჯონასი 30 აპრილისა და 1 მაისის ღამეს გაათრიეს, სადაც ურტყამდნენ და ლანძღავდნენ. საერთო ჯამში 20-30 დარტყმის შედეგად მას ცხვირი აქვს ჩამტვრეული და სახე დასიებული.

- აქციებზე დარბეულთა თქმით, მომდევნო ღამეს, 1 მაისს პოლიციამ წყლის ჭავლთან და ცრემლსადენ გაზთან ერთად რეზინის ტყვიების გამოყენებაც დაიწყო, თუმცა ოფიციალურად აღნიშნული არ დადასტურებულა. დემონსტრაციის ერთ-ერთ მონაწილეს ტყვია თვალთან ახლოს მოხვდა, რის გამოც, მისი თქმით, მხედველობა სამუდამოდ ნაწილობრივ აქვს დაკარგული.

  მაისს გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართული მასობრივი დემონსტრაციის მონაწილეებს თავს დაესხნენ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანთა ჯგუფები (1, 2, 3, 4). ჟურნალისტებმა მოგვიანებით ზემოაღნიშნულთა ვინაობა დაადგინეს, თუმცა შესაბამისი საკანონმდებლო ზომები მათ წინააღმდეგ დღემდე არ მიღებულა.

- ლადო აფხაზავამ, ქართველმა მასწავლებელმა, რომელიც 2019 წელს მსოფლიოს საუკეთესო მასწავლებლის 10 ფინალისტს შორის დასახელდა, განაცხადა, რომ მას და მის შვილს ლანჩხუთში, სახლთან ახლოს, ფიზიკურად გაუსწორდნენ. თავდამსხმელი 4

ის („ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“) აღმასრულებელ

დირექტორ გიორგი კლდიაშვილსა და ფორმულას გადამღებ ჯგუფს შვედეთის საელჩოსთან დაესხნენ თავს.

- ოპოზიციურ პარტიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან აფილირებულ პირებსა და აქტივისტებს, რომლებიც აქტიურად ეწინააღმდეგებიან რუსულ კანონად მიჩნეულ კანონპროექტს „უცხოური აგენტების შესახებ“, სხვადასხვა ქვეყნიდან გაურკვეველი ინდივიდები სატელეფონო ზარების მეშვეობით უკავშირდებოდნენ. ზარების ავტორები ზემოაღნიშნულ ადამიანთა ჯგუფებს აგინებდნენ და მისამართს ეუბნებოდნენ. ზარები არა მხოლოდ სამოქალაქო აქტივისტებთან, არამედ მათი ოჯახის წევრებთანაც ხორციელდებოდა.

დეზინფორმაციული კამპანია რუსულ კანონად მიჩნეული „უცხოური აგენტების“ კანონპროექტით გამოწვეული პროტესტის დისკრედიტაციას ახდენს

თბილისის ქუჩებში მიმდინარე უწყვეტი დემონსტრაციების პარალელურად, აქტიურად ხორციელდება პროპაგანდისტული და დეზინფორმაციული კამპანიები დემონსტრანტებისა და იმ ინდივიდების წინააღმდეგ, რომლებიც ღიად აფიქსირებენ პროტესტს.

- შეცვლილი ვერსიით გავრცელდა ერთ-ერთი გამომსვლელის ბანერი, რომელზეც შემდეგი წარწერა იყო დატანილი: „Like the women of the first republic, we fight for Georgia’s future now!”; ხოლო გავრცელებულ ფოტოზე ბანერი შემდეგნაირად შეცვალეს: “არა რუსულ კანონს! კი ერთსქესიანთა ქორწინებას”.

Real

Fake

- მორიგი ბანერზე, რომელიც მსგავსად, შეცვლილი ტექსტით, ცირკულირებდა სოციალურ მედიაში, თავდაპირველად დატანილი იყო წარწერა: „სპეცრაზმელებო, გთხოვთ, შეიკავეთ გაზები“, - ხოლო შეცვლილ ვერსიას პრო-ლგბტ კონოტაცია ჰქონდა.

Real

Fake

მაისის დემონსტრაციაზე გადაღებული ვიდეო შეცვლილი აუდიოთი გავრცელდა. პროპაგანდისტული წყაროების თანახმად, აქციებზე „სატანური ხმები“ ისმოდა. თუმცა მსგავსი ხმები არ ისმოდა დემონსტრაციის ათამდე მაუწყებლის პირდაპირ ეთერში; ზემოაღნიშნული არ დაუდასტურებია არცერთ სხვა წყაროსაც. აქედან გამომდინარე, მტკიცება მცდარი იყო.

- ანონიმურმა გვერდებმა და პროპაგანდისტულმა წყაროებმა სხვადასხვა ონლაინ პლატფორმაზე დაუსაბუთებლად გაავრცელეს კონსპირაცია, თითქოს აშშ საქართველოში რევოლუციის მოწყობას აპირებს. პოსტების უმეტესობა დასპონსორებული იყო ზემოაღნიშნული შეთქმულების თეორიის გავრცელებისთვის ხელის შეწყობის მიზნით. ამასთანავე, მედია საშუალებებმა (1, 2) გაავრცელეს CIA-ის ყოფილი ჩინოსნის, ლარი ჯონსონის, ციტატაც: „დასავლეთი მუშაობს საქართველოში ფერადი რევოლუციის მოსაწყობად“. ლარი ჯონსონი ხშირად აჟღერებს ანტიამერიკულ დეზინფორმაციასა და კონსპირაციულ თეორიებს. მისი განცხადებებს, სტატიებსა და ჩართვებს კრემლისტური პროპაგანდისტული წყაროები ხშირად იყენებენ, მათ შორის გამოყენებულ იქნა CIA-ის კიდევ ერთი ყოფილი ექსპერტის, სკოტ რიტერის, განცხადებაც. ცნობისთვის, რუსეთის მიერ 2022 წელს უკრაინაში შეჭრიდან რიტერი ღიად ავრცელებს პროპაგანდისტულ ნარატივებსა და დეზინფორმაციას, კრემლის დეზინფორმაციის გამავრცელებელ აქტორებთან თანამშრომლობით.